საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11546/01
08/11/2021

11546-01-2-202111081055

შპს „საბა 777“-ს

მის: ქ. თბილისი, მ. კოსტავას I შესახვევი №33

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 20 ოქტომბრის N18837 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მითითებული საწარმოს მისამართი (ქ. თბილისი, თვალჭრელიძის ქ. 6) და საკადასტრო კოდი (01.19.19.001.055) არ ემთხვევა ერთმანეთს;
- სკრინინგის განცხადებაში დასაზუსტებელია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, საწარმოს წარმადობა, კერძოდ: დოკუმენტში მითითებულია, რომ საწარმოში წელიწადში 124 800 ტონის ნაცვლად, მოხდება 72 000 ტ ასფალტის წარმოება, აქვე აღნიშნულია, რომ საწარმო წელიწადში აწარმოებს 70 000 ტ ასფალტს. გარდა ამისა, დოკუმენტში მითითებულია, რომ ასფალტის მწარმოებელი დანადგარის მაქსიმალური წარმადობაა 30 ტ/სთ, ხოლო აღნიშნულ რაოდენობაზე მეტი სიმძლავრით დატვირთვის შემთხვევაში, დანადგარი ავტომატურად წყვეტს მუშაობას. ასფალტის მწარმოებელი დანადგარის მაქსიმალური წარმადობისა (30 ტ/სთ) და საწარმოს სამუშაო რეჟიმის (260 დღე, 2080 სთ) გათვალისწინებით, წელიწადში საწარმოში შესაძლებელია 62 400 ტ ასფალტის წარმოება. ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების თანახმად, საწარმოში ქვანახშირის ნაცვლად გამოიყენება ბუნებრივი აირი, თუმცა აღნიშნულია, რომ საწარმოში კვლავ გამოიყენება ქვანახშირი, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება შეფასებული და გაანგარიშებული უნდა იქნეს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში საწარმოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით;

- დოკუმენტში წარმოდგენილი გენ-გეგმის ნახაზები და ექსპლიკაცია საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ: გენ-გეგმაზე სრულად არ არის წარმოდგენილი საწარმოში არსებული დანადგარები, მათ შორის ასფალტის მწარმოებელი დანადგარი. გარდა ამისა, გენ-გეგმაზე მითითებულია ტბორი გ-1, ხოლო სკრინინგის განცხადებაში გ-1-ით აღნიშნულია საშრობი დოლი. ამასთანავე, ექსპლიკაციის ლეგენდაზე ყვითლად აღნიშნულია ბუნებრივი აირი, რაც არ არის დატანილი გენ-გეგმაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე